პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 30 მაისი, 1945 წ. № 106 (7321). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კოლმეურნეობათა ინტერესების სადარაჯოზე. მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ (1-ლი გვერდი)

წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენებით. (1-ლი გვერდი).

პავლე ლუკნიცკი — ბრატისლავაში. (1-ლი გვერდი).

გამოცდილების ტრიბუნა — ორდენოსანი ტრაქტორისტი შ. ნაცვლიშვილი. (მე-2 გვერდი).

მტკიცედ დავიცვათ ჩაის ფოთლის „პრეფის“ წესები. (მე-2 გვერდი).

შ. ბუაჩიძე—საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო სეზონის გახსნის წინ. (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები. (მე-2 გვერდი).

კოლმეურნეობათა ინტერესების სადარაჯოზე

Დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მშრომელი გლეხობა გაათავისუფლა მემამულეთა კაბალისაგან, იხსნა სიღატაკისაგან, გააუქმა მიწის კერძო საკუთრება და იგი აღიარა საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივ საკუთრებად. საბჭოთა ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო ჩვენი გლეხობის უმიწაწყლობას.

საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხებს დაუმკვიდრა შეძლებული და საამური ცხოვრება. კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწა წარმოადგენს კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საფუძველს.

1935 წელს საბჭოთა სახელმწიფომ კოლმეურნეობებს მიწა გადასცა მუდმივ და უფასო სარგებლობაში. კოლმეურნეთა ეს უდიდესი მონაპოვარი განმტკიცებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებით, რომელიც საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია. სტალინურ წესდებაში მოცემულია საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის წესები, განსაზღვრულია კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა. წესდება მოუწოდებს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს მტკიცე წესრიგი დაამყარონ საზოგადოებრივ მიწათსარგებლობაში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებაში ნათქვამია: „ყველა მიჯნა, რომელიც არტელის წევრთა მიწის ნაკვეთებს წინათ ერთმანეთისაგან ჰყოფდა, ისპობა, და მინდვრის ყველა ნაკვეთი იქცევა მიწის ერთიან მასივად, რომელიც იმყოფება არტელის კოლექტიურ სარგებლობაში.

მიწა, რომელიც არტელს უჭირავს (როგორც ყოველგვარი სხვა მიწაც საბჭოთა კავშირში), არის საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი საკუთრება. იგი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს კანონების თანახმად, ემაგრება არტელს უვადო სარგებლობისათვის, ე. ი. სამუდამოდ და არ შეიძლება მისი არც ყიდვა-გაყიდვა, არც იჯარით გაცემა არტელის მიერ“.

წესდებით აკრძალულია საზოგადოებრივი მიწის შემცირება. მიწა კოლმეურნეობებს უვადო სარგებლობის სახელმწიფო აქტით ჩაბარდათ.

კოლმეურნეობებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საზოგადოებრივ მიწებზე თანამედროვე აგროტექნიკის დანერგვას. მოწინავე კოლმეურნეობებმა ბოლშევიკური წესრიგი დაამყარეს საკოლმეურნეო მიწათსარგებლობაში და უფრთხილდებიან საზოგადოებრივ მიწას, როგორც საარტელო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროს.

ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი **სტალინი** უდიდეს მზრუნველობას იჩენენ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდისათვის. ამ მზრუნველობის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებაში პარტიამ და მთავრობამ აღნიშნეს პარტიის პოლიტიკის სერიოზული დამახინჯებანი საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგში. ეს დამახინჯებანი გამოიხატებოდნენ იმით, რომ ირღვეოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მეორე პუნქტი საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში მყოფი საკარმიდამო მიწის ნორმების შესახებ. ამ ნორმებს უკანონოდ აფართოებდნენ კოლმეურნის პირადი მეურნეობის სასარგებლოდ საზოგადოებრივი მიწების განიავებისა და დატაცების გზით. დადგენილებაში მოცემულია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული პროგრამა.

პარტიისა და მთავრობის 1939 წლის 27 მაისის დადგენილებამ უდიდესი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის აღმავლობის, კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ეს დადგენილება მტკიცედ იცავს საკოლმეურნეო წყობილების ინტერესებს და ხელს უწყობს კოლმეურნეთა კეთილდღეობის შემდგომ ზრდას.

საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, თვით კოლმეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი მიწათსარგებლობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ამის შედეგად კოლმეურნეობები კიდევ უფრო განმტკიცდნენ და გაიზარდნენ.

კოლმეურნეობებმა დასძლიეს ომით გამოწვეული სიძნელეები. ისინი წარმატებით ამარაგებდნენ სახელოვან წითელ არმიასა და ჩვენს ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. დიდი სამამულო ომის დღეებში ჩვენმა კოლმეურნეობებმა ბოლომდე შეასრულეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე. ისინი ყველაზე უფრო მაღლა აყენებდნენ სახელმწიფოს ინტერესებს, გადაჭარბებით ასრულებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების გეგმებს, მოჰყავდათ უხვი მოსავალი. კოლმეურნეობებმა თვალსაჩინოდ გაადიდეს სათესი ფართობები და გააუმჯობესეს საზოგადოებრივი მიწების დამუშავება.

მაგრამ ცალკეულ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ვხვდებით საზოგადოებრივი მიწების განიავების, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების ნორმების დარღვევის ფაქტებს. ქუთაისისა და ქარელის რაიონებში ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მიწის გადაცემას ისეთი პირებისათვის, რომლებსაც კოლმეურნეობებთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამიწათმოქმედო ორგანოები ვალდებული არიან გამოამჟღავნონ საზოგადოებრივი მიწათსარგებლობის დარგში სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დამახინჯების ფაქტები და მიიღონ გადამწყვეტი ზომები ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ჯერ კიდევ 1933 წელს ამხანაგი **სტალინი** აფრთხილებდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა კომუნისტს იმის შესახებ, რომ „...საკოლმეურნეო წყობილება კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას და პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ“.

ამოცანა ის არის, რომ ყველა კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მიწათსარგებლობის მხრივ დავამყაროთ ბოლშევიკური წესრიგი.

ეს გვავალებს ზუსტად აღვრიცხოთ საზოგადოებრივი მიწები და სწორად, მთლიანად გამოვიყენოთ ისინი.

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ღირსების საქმეა დაიცვან საზოგადოებრივი მიწა, არ დაუშვან მიწათსარგებლობის კანონების დარღვევა.

საბჭოთა ქვეყანაში ბრწყინავს სტალინური გამარჯვების მზე. ჰიტლერული გერმანია სავსებით განადგურებულია. გმირმა წითელმა არმიამ დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით ისტორიული გამარჯვება მოიპოვა კაცობრიობის მტერზე — ფაშიზმზე.

საბჭოთა ხალხის, კოლმეურნე გლეხობის წინაშე ახალი ამოცანებია დასახული. სწრაფად უნდა მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები. სამშობლო მოითხოვს კოლმეურნეობებისაგან მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, მეტ ნედლეულს.

ბრძოლა უხვი მოსავლისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის — ეს არის ზრუნვა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამიწათმოქმედო ორგანოები, კოლმეურნეები აღმოფხვრიან საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მიწების განიავების ფაქტებს და უზრუნველჰყოფენ მტკიცე კონტროლის განხორციელებას ამ დარგში. ეს იქნება საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აყვავების საუკეთესო პირობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის მასწავლებელთა კურსები

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აწყობს უმაღლესი სასწავლებლების მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებისა და პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებს. მსმენელებად მიღებულ იქნებიან უნივერსიტეტების, პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიული ფაკულტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიური ფაკულტეტების ყველაზე უფრო მომზადებული კურსდამთავრებული სტუდენტები.

კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1 აგვისტოს. (საკდესი).

ახალი სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლები

სამოქალაქო ბინათმშენებლობის სახალხო კომისარიატის საწარმოებთან იქმნება სამი სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი, რომლებიც მოამზადებენ მხატვრობა-მოპირკეთების სამუშაოთა ოსტატებსა და სხვა სპეციალისტებს. ეს სასწავლებლები იხსნება სტალინგრადში, დონის როსტოვში და კალინინში. მეცადინეობა დაიწყება წელს. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მიღწეული წარმატებებისათვის **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება მიენიჭოთ და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**:

1. გენერალ-მაიორ დიმიტრი ევსტიგნეის-ძე **ბაკანოვს**
2. გვარდიის გენერალ-მაიორ ვიქტორ სერგის-ძე **გლებოვს**
3. გვარდიის გენერალ-მაიორ იბრაჰიმ მაჰომეტის-ძე **ძუსოვს**
4. გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სერგის-ძე **ჟერებინს**
5. გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ვასილის-ძე **იგნატოვს**
6. გვარდიის გენერალ-მაიორ ნესტერ დიმიტრის-ძე **კოზინს**
7. არტილერიის გენერალ-მაიორ ბორის ილიას-ძე **კოზნოვს**
8. ავიაციის გვარდიის გენერალ-მაიორ გიორგი იოსების-ძე **კომაროვს**
9. სატანკო ჯარების გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ სიმონ მოსეს-ძე **კრივოშეინს**
10. გენერალ-პოლკოვნიკ ვასილ ივანეს-ძე **კუზნეცოვს**
11. გენერალ-მაიორ ალექსანდრე მიხეილის-ძე **კუშჩევს**
12. გენერალ-პოლკოვნიკ მიხეილ სერგის-ძე **მალინინს**
13. პოლკოვნიკ ალექსი ეგნატეს-ძე **ნეგოდას**
14. გენერალ-მაიორ სიმონ ნიკიფორეს-ძე **პერევერტკინს**
15. გენერალ-ლეიტენანტ სტანისლავ გილიარის-ძე **პოპლავსკის**
16. საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ივანეს-ძე **პროშლიაკოვს**
17. სახელმწიფო უშიშროების მე-2 რანგის კომისარ ივანე ალექსანდრეს-ძე **სეროვს**
18. ავიაციის გვარდიის გენერალ-მაიორ ბორის არტემის-ძე **სიდნევს**
19. გვარდიის გენერალ-მაიორ ვასილ პავლეს-ძე **სოკოლოვს**
20. არმიის გენერალ ვასილ დანილის-ძე **სოკოლოვსკის**
21. გენერალ-მაიორ ვასილ მიტროფანეს-ძე **შატილოვს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 29 მაისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მიღწეული წარმატებებისათვის **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება მიენიჭოთ და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**:

1. გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **ბოგოლიუბოვს**
2. გვარდიის გენერალ-მაიორ პავლე პორფილეს-ძე **ბრიკელს**
3. გვარდიის გენერალ-მაიორ კუზმა ევდოკიმეს-ძე **გრებენიკს**
4. გენერალ-მაიორ ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე **ჯანჯღავას**
5. გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ სერგის-ძე **ოსლიკოვსკის**
6. სატანკო ჯარების გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ მიხეილ თევდორეს-ძე **პანოვს**
7. სატანკო ჯარების გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ალექსი პავლეს-ძე **პანფილოვს**.
8. არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე ილიას-ძე **სოკოლსკის**
9. გვარდიის პოლკოვნიკ ვასილ ივანეს-ძე **ტრუდოლიუბოვს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 29 მაისი.

წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით—სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ს. ს. გირგოლავი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ა. ელუნოვი, პოლკოვნიკი პ. პ. რიბაკოვი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ა. სიროვი, პოლკოვნიკი ნ. ფ. უსპენსკი, გენერალ-პოლკოვნიკი ქ. პ. ტრუბნიკოვი და სხვები, სულ 30 კაცი.

წითელი დროშის ორდენით—15 კაცი;

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით — 2 კაცი. (საკდესი).

წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — გენერალ-ლეიტენანტი ნ. ტ. კალჩენკო, გენერალ-ლეიტენანტი ქ. ვ. კრაინიუკოვი, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ს. ი. მელნიკოვი, ავიაციის გენერალ-მაიორი ს. ნ. რომაზანოვი, საინჟინრო-სატანკო სამსახურის გენერალ-მაიორი ი. ნ. სოლოვიოვი და სხვები, სულ 24 კაცი;

წითელი დროშის ორდენით — 2 კაცი. (საკდესი).

წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენებით

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით — გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. ბელოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ე. ბერზარინი, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. კაზაკოვი, სატანკო ჯარების გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი მ. ე. კატუკოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. კოლპაკჩი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. დ. ცვეტაევი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. ჩუიკოვი და სხვები, სულ 23 კაცი;

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით — გენერალ-ლეიტენანტი ფ. ა. ვოლკოვი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ე. ფ. ლოგინოვი, სატანკო ჯარების გვარდიის გენერალ-მაიორი ნ. მ. ტელიაკოვი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ქ. ურბანოვიჩი და სხვები, სულ 21 კაცი;

ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის ორდენით—გენერალ-ლეიტენანტი ა. მ. ანდრეევი, ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორი გ. ტ. დონეცი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ნ. ვ. პერმინოვი, გენერალ-ლეიტენანტი პ. პ. სობენიკოვი და სხვები, სულ 12 კაცი;

სუვოროვის II ხარისხის ორდენით — პოლკოვნიკი ა. გ. ბატერკო, სატანკო ჯარების გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ი. ფ. კირიჩენკო, გვარდიის პოლკოვნიკი ვ. ი. სტალინი, გენერალ-მაიორი ტ. ქ. შკრილევი და სხვები, სულ 73 კაცი;

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით — 23 კაცი;

ბოგდან ხმელნიცკის II ხარისხის ორდენით — 2 კაცი. (საკდესი).

წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენებით

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით — გენერალ-ლეიტენანტი დ. ფ. ალექსეევი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. ვერშინინი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ტ. გრიშინი, საინტენდანტო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ფ. ნ. ლაგუნოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ს. პოპოვი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ა. ნ. ფირსოვიჩი;

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით—ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი გ. ფ. ბაიდუკოვი, გენერალ-მაიორი ს. ფ. გოროხოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ი. ფედიუნინსკი და სხვები, სულ 9 კაცი;

ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის ორდენით—ავიაციის გენერალ-მაიორი ა. მ. ალექსეევი;

სუვოროვის II ხარისხის ორდენით—19 კაცი;

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით — 14 კაცი;

ბოგდან ხმელნიცკის II ხარისხის ორდენით —8 კაცი. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მიღწეული წარმატებებისათვის **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება მიენიჭოთ და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**:

1. გენერალ-მაიორ გლებ ვლადიმერის-ძე **ბაკლანოვს**
2. გენერალ-ლეიტენანტ ვიქტორ კირილეს-ძე **ბარანოვს**
3. სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ევტიხი ემელიანეს-ძე **ბელოვს**
4. არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ სერგი სერგის-ძე **ვარენცოვს**
5. გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს-ძე **ვეხინს**
6. არტილერიის გენერალ-მაიორ სერგი სერგის-ძე **ვოლკენშტეინს**
7. საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ივანე პავლეს-ძე **გალიცკის**
8. პოლკოვნიკ მიხეილ ნიკოლოზის-ძე **გორსკის**
9. გენერალ-მაიორ გრიგოლ ნიკიტას-ძე **ჟუკოვს**
10. ავიაციის გენერალ-მაიორ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **ზაბალუევს**
11. პოლკოვნიკ ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე **კომაროვს**
12. ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ სტეფანე აკიმის-ძე **კრასოვსკის**
13. გენერალ-მაიორ ჰაჯი უმარ ჯიორის-ძე **მამსუროვს**
14. გენერალ-მაიორ სარქის სოლომონის-ძე **მარტიროსიანს**
15. ავიაციის გენერალ-მაიორ მიხეილ გრიგოლის-ძე **მაჩინს**
16. სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ვასილ ანდრიას-ძე **მიტროფანოვს**
17. გენერალ-მაიორ ვასილ ვასილის-ძე **ნოვიკოვს**
18. სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ნოვიკოვს**
19. არმიის გენერალ ივანე ეფიმის-ძე **პეტროვს**
20. სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პავლე პავლეს-ძე **პოლუბოიაროვს**
21. არტილერიის გენერალ-მაიორ გიორგი ვასილის-ძე **პოლუექტოვს**
22. არტილერიის გენერალ-მაიორ ივანე თეოდოსის-ძე **სანკოს**
23. სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ივანე პროკოფის-ძე **სუხოვს**
24. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ვასილის-ძე **უტინს**
25. სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ევგენი ივანეს-ძე **ფომინიხს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 29 მაისი.

ბრატისლავაში

ამ ქალაქში არის ქუჩები, რომლებიც ციცაბო აღმართზე ადის. ვილების ღობეებს იქით ყვავილები მოსჩანს. ვარდი, გეორგინა, პეონი ხარობს ლამაზ კლუმბებში. ყველა ჯიშის სამხრეთულ ხეებს ნახავთ ამ ქალაქში. ვილები მთაშია შეჭრილი, ისე რომ სამსართულიანი სახლი მეორე მხრიდან ორსართულიანი გეჩვენება. წყნარ და თბილ საღამოს ასეთ ქუჩას რომ აუყვები, გეგონება იალტაში ხარო, და, გორაზე რომ ავიდე, შორს აუცილებლად მოლაპლაპე შავ ზღვას დავინახავო. ილუზიას ისიც აძლიერებს, რომ ამ ვილების აივნებზე, მთლად ისეთ მოწნულ სავარძლებში, როგორიც ყირიმის სანატორიუმებშია, რუსი ადამიანები ისვენებენ, და საღამოს ხან რუსული გუნდური სიმღერა ისმის, ხან ბაიანის მხიარული მელოდიები. აქ, წითელი არმიის ჰოსპიტლებში, ჯანმრთელდებიან ბრძოლებში დაჭრილი ჩვენი მეომრები.

რუს მეომრებთან სტუმრად მოდიან სლოვაკი ქალები და კაცები, თან მოაქვთ ყვავილის თაიგულები, უამბობენ, როგორ მოელოდნენ გერმანელთა ოკუპაციის მძიმე წლებში წითელი არმიის მოსვლას, რა იმედი ჰქონდათ მისი ძალისა და მამაცობისა.

ძველი სლოვაკი მოსამართლე, ამჟამად ჩეხოსლოვაკიის არმიის მაიორი იგორ დაქსნერი, რომლის წინაპრებიც საქსონიის დაქსიდან წამოსულან, იმამდე ვერც კი წარმოიდგენდა, რომ იარაღის ხმარება შეეძლო. წყნარად ცხოვრობდა თავის სახლში და ეგონა ასევე წყნარად, ოჯახურ მყუდროობაში აცხოვრებდა შემდეგაც. მაგრამ როდესაც სლოვაკია გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში, პატრიოტს გულმა ვეღარ მოუთმინა, ძველი მოსამართლე თავის ცოლ კლავდიასთან ერთად მთებში წავიდა და პარტიზანი გახდა. ტყეში თავის ამხანაგებს შორის გამოცდილებითა და უნარით დაწინაურდა და პარტიზანული ბრიგადის მზვერავი რაზმის უფროსად დაინიშნა. იგორ დაქსნერი ხანში შესული, სუსტი ჯანის კაცია. გლეხურ ძონძებში გახვეული ემალებოდა მდევნელებს და ეწეოდა თავის გაბედულ მუშაობას. და როდესაც ერთხელ გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციამ შეიპყრო და მან შემთხვევით მოახერხა გაქცევა, სოფლის სამიათას მცხოვრებში რომლებმაც მშვენივრად იცოდნენ, თუ ვინ იყო ის, ერთიც არ აღმოჩნდა მოღალატე, რომ იგი გაეცა.

დღეს დამსახურებული პარტიზანი, ჩეხოსლოვაკიის არმიის მაიორი, იუმორით და დინჯად უამბობს რუს ოფიცრებს ყოველივე იმას, რაც ბრძოლის დღეებში გადახდა. მოძმე სლავი ხალხების წარმომადგენლები ასეთი გულითადი საუბრების დროს კიდევ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. ბრატისლავაში, სადაც ასეთი საუბრები თითქმის ყოველ სახლში იმართება, ახლა ცხოვრება სამური და სასიხარულოა.

ნაციონალური სლოვაკური კულტურა, რომლის მოსპობასაც გერმანელები ამაოდ ცდილობდნენ, ახლა, წითელი არმიის მიერ ბრატისლავის განთავისუფლების შემდეგ, არალეგალური მდგომარეობიდან გამოდის. დიდი ხნის შემდეგ პირველად გაისმის თავისუფლად სლოვაკური სიტყვა. გამოდის გაზეთები მშობლიურ ენაზე, კვლავ გაიხსნა ბიბლიოთეკები, სადაც ფაშისტური მაკულატურის ნაცვლად მკითხველს შეუძლია მიიღოს სლოვაკური და ჩეხური წიგნები, რომლებიც დღემდე შორს იყო გადამალული. სპექტაკლები, კონცერტები, ლექციები, საუბრები, სამეცნიერო მოხსენებები — კვლავ აღორძინების გზაზე დამდგარი ნაციონალური სლოვაკური კულტურა მოწმობს ამ ხალხის უდიდეს სულიერ სიმდიდრეს.

ადგილობრივი მოსახლეობის მადლობა წითელი არმიისადმი, მადლობა ჰიტლერული უღლისაგან განთავისუფლებისათვის, თავის გამოხატულებას პოულობს მოსახლეობის დიდი ინტერესით ყოველივე იმისადმი, რაც დაკავშირებულია საბჭოთა ქვეყანასთან, მისი ხალხების ცხოვრებასთან, წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან.

ყოველ სლოვაკს სურს რაც შეიძლება მეტი რამ იცოდეს რუსეთის შესახებ. როცა, მაგალითად, წითელი არმიის მაიორი ნიკოლოზ ვილმონტი მეწერალთა და კომერსანტთა კავშირის დარბაზში ბრატისლავის მცხოვრებთათვის კითხულობს ლექციას „საბჭოთა ლიტერატურის სახე“, დარბაზი ისეა გაჭედილი, რომ ბევრნი, ვისაც სურს ლექცია მოისმინოს, იძულებული არიან ქუჩაში იდგნენ ღია ფანჯრებთან. ცნობებს შოლოხოვის, ალექსი ტოლსტოის, მაიაკოვსკის შესახებ ბრატისლაველები უდიდესი ინტერესით ისმენენ. და, როდესაც ლექტორი ლენინგრადის დაცვაზე ლაპარაკობს, ხოლო შემდეგ ანა ახმატოვას ლექსების ნაწყვეტებს კითხულობს, დარბაზში მყოფთაგან ბევრნი, უძლეველი გმირი ქალაქის ტანჯვასა და სიმამაცეს რომ წარმოიდგენენ, ტირიან და თავის ცრემლს არა მალავენ. ლექციის მეორე დღეს ბრატისლავის გაზეთები „პრავდა“ და „ნაროდნა ობროდა“ ღრმა ვრცელ სტატიებს ბეჭდავენ ამ ლექციის შესახებ, ხოლო მის ორგანიზატორებს ქალაქის მცხოვრებლებისაგან მისდით წერილები უამრავი შეკითხვით საბჭოთა ლიტერატურის შესახებ.

ქალაქის კინოთეატრებში უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს: „სტალინგრადს“, „კუტუზოვს“, „გერმანელების განადგურებას მოსკოვთან“, და, სეანსზე შესასვლელად ბილეთი რომ იშოვონ, რამდენიმე საათს უნდა იდგე რიგში. ქალაქში ყველგან გაკრულია აფიშები, რომლებიც იუწყებიან წითელარმიული ანსამბლის კონცერტის შესახებ, და ბრატისლაველები ამ მომავალ კონცერტზე ლაპარაკობენ, როგორც დიდ კულტურულ მოვლენაზე.

ქალაქი უკვე სისხლსავსედ ცხოვრობს. გერმანელების დროს გაქცეულ მცხოვრებთა უმრავლესობა — 70 ათასზე მეტი, — უკვე დაბრუნდა ქალაქში მას შემდეგ, რაც იგი წითელმა არმიამ გაათავისუფლა. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ბრატისლავაში ტრამვაი არ დადიოდა, ელექტრობა გამორთული იყო, ფანჯრები კი შენიღბული. ისტორიას ჩაბარდა ქალაქში გერმანელთა ბატონობის შავბნელი პერიოდი. რუსული წიგნები, რომლებსაც იმ დროს საიდუმლოდ შოულობდნენ და სარდაფების კუნჭულებში ინახავდნენ, ახლა სლოვაკებს მაგიდაზე უწყვიათ. მოხუც პოეტ იან ესენსკისთან მიდიან ადამიანები და სთხოვენ ერთი დღით მაინც ათხოვოს „ევგენ ონეგინის“, ალექსანდრე ბლოკის „თორმეტის“, პუშკინის „ლირიკის“ თავისი ძველი თარგმანები, და მოხუცი პოეტი ქალაქში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს.

დღის სიჩუმეს ორთქლმავლების საყვირი არღვევს. ბრატისლავა ჩეხოსლოვაკიის რკინიგზების დიდი კვანძია, და სამგზავრო მატარებლები, რომლებიც ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მოდის, გაჭედილია ხალხით.

მალე აღსდგება ნაოსნობაც დუნაიზე, — გემებისათვის ახლა გზა გახსნილია ზემოთაც და ქვემოთაც, ვენისაკენ და ბუდაპეშტისაკენ. მანუფაქტურა, ტყავეულობა, ხე-ტყე, საფეიქრო ნაწარმი, ღვინო, ხილი, ქიმიკალიები მალე კვლავ დაიტვირთება ბრატისლავაში სამდინარო ხომალდებზე, იმიტომ რომ ბევრი ფაბრიკა-ქარხანა უკვე მუშაობს და იმიტომ რომ ბრატისლავის მიდამოების გლეხები უკვე ენერგიულად შრომობენ ვენახებსა და ბაღებში.

პავლე ლუკნიცკი

ბრატისლავა, მაისი. (საკდესის სპეც. კორ.).

მწერლების სახლ-მუზეუმთა აღდგენა უკრაინაში

უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი დიდ მუშაობას ეწევა გერმანელი დამპყრობლების მიერ დანგრეული მწერალთა სახლ-მუზეუმების აღსადგენად. მიმდინარეობს ბინების რემონტი, წესრიგზე მოჰყავთ პანას მირნის (პოლტავა), ივანე ფრანკოს (ლვოვი), ოლღა კობილიანსკაიას (ჩერნოვცი), ვასილ სტეფანიკის (სტანისლავშჩინა), ნიკოლოზ ოსტროვსკის (შეპეტოვკა) სახლ-მუზეუმთა ექსპონატები. ხელახლა აშენდება ვ. გ. კოროლენკოს სახლ-მუზეუმი პოლტავაში. განზრახულია გაიხსნას ფედკოვიჩის (ჩერნოვცი) და ლესია უკრაინკას (ვოლინი) ახალი მუზეუმები. (საკდესი).

გამოცდილების ტრიბუნა

ორდენოსანი ტრაქტორისტი შ. ნაცვლიშვილი

წნორი („კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან). მტს-ი გეგმებს წარმატებით ასრულებს. იგი მოწინავეა. რაში მდგომარეობს ამ წარმატების წყარო?

ტრაქტორების მაღალხარისხოვან რემონტსა და შეუფერხებელ მუშაობაში. ამავე დროს აქ სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას. პირველ და მეორე კვარტალში მტს-მა დაამზადა 5.450 მანეთის სათადარიგო ნაწილები, გეგმა კი 2.200 მანეთის ნაწილების დამზადებას ითვალისწინებდა. წლიური გეგმით უნდა შეესრულებინა 9.200 მანეთის აღდგენითი სამუშაოები, უკვე შესრულებულია 8.608 მანეთისა.

გადაჭარბებით შესრულდა საგაზაფხულო ხვნა-თესვის გეგმა. 2.400 ჰექტარის ნაცვლად მტს-მა მოხნა 2.662 ჰექტარი, 900 ჰექტარის ნაცვლად, დათესა 1.400 ჰექტარი. ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს კომბაინების რემონტი. კულტივატორები გასათიბ ყანებში გავიდნენ.

მტს-ის ამ წარმატებების მოპოვებაში თავი ისახელა მე-13 სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი შ. ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობს. იგი თავისი საქმის ოსტატია. ბრიგადის ყველა ტრაქტორი კარგი სათადარიგო მექანიზმებით არის აწყობილი. ამიტომ ტრაქტორები შეუფერხებლად მუშაობენ. საქვეუსხედან შ. ნაცვლიშვილის მიერ აღზრდილი ტრაქტორისტები. ბრიგადამ წელს ხვნის გეგმა 200-ზე მეტი პროცენტით შეასრულა, ასევე გადააჭარბა თესვის გეგმას.

ტრაქტორისტ შ. ნაცვლიშვილს 15 წლის მუშაობის გამოცდილება აქვს. იგი თვითონ ამოწმებს ყველა ტრაქტორს და საჭიროების შემთხვევაში სწრაფად შეაკეთებს ხოლმე. ტრაქტორები განუწყვეტლივ გუგუნებენ საკოლმეურნეო მინდვრებზე.

ბრიგადა ემზადება მოსავლის აღებისათვის. შ. ნაცვლიშვილის კომბაინი მზად არის. იგი დგას მოსავლის აღების ადგილზე და ელის პირველ სიგნალს. ბრიგადირმა ვალდებულებად იკისრა წელს მოსავალი აიღოს 600 ჰექტარზე. შ. ნაცვლიშვილმა შარშან 886 შრომადღე გამოიმუშავა, 2.660 კილოგრამი მარცვლეული და 1.000 კილოგრამი პური პრემიის სახით მიიღო.

ბრიგადირ შ. ნაცვლიშვილს წარჩინებული მოწაფეები ჰყავს. დ. ზედელაშვილი, ი. ბახტურიძე, ფ. ფშუტაშვილი, მ. ზურაბაშვილი მოწინავე ადამიანები არიან. კომკავშირელმა დ. ზედელაშვილმა მთელი ბრიგადა ასახელა. შარშან გეგმის წარმატებით შესრულებასთან ერთად დაზოგა 2.200 კილოგრამი საწვავი, ომის წლებში მოსავალს იღებდა სულ მცირე 600 ჰექტარზე. ამიტომ დაიმსახურა ჯილდო — სოფლის მეურნეობის წარჩინებულის ნიშანი. დ. ზედელაშვილმა შარშან 900 შრომადღე გამოიმუშავა და 2.700 კილოგრამი მარცვლეული მიიღო, წელს უფრო წარმატებით მუშაობს. 7 აპრილს 9 ჰექტარის ნაცვლად მან 15 ჰექტარი დათესა, 8 აპრილს — 20 ჰექტარი.

მე-13 ბრიგადის ტრაქტორისტებს მდიდარი გამოცდილება აქვთ. ეს გამოცდილება ფართოდ უნდა დავნერგოთ დანარჩენი ბრიგადების მუშაობაში. თვითეული ბრიგადა, თვითეული ტრაქტორისტი უნდა მუშაობდეს ისე, როგორც მუშაობენ ორდენოსან შ. ნაცვლიშვილის ბრიგადა და ტრაქტორისტები.

ნ. ჯანჯღავა

მტკიცედ დავიცვათ ჩაის ფოთლის კრეფის წესები

ბათუმი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). აჭარის მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკვე შეუდგნენ ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფას.

ჩაის პლანტაციები გასხლულ-გაფორმებულია და გათოხნილი, გაწმენდილია სადრენაჟო არხები, პლანტაციებში საგრძნობი რაოდენობით შეტანილია მინერალური სასუქი. ეს ნიშნავს, რომ წელს უხვი მოსავალი იქნება.

სულ აჭარაში უნდა მოიკრიფოს 4.388,5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი — 80 პროცენტი პირველი ხარისხისა და 20 პროცენტი მეორე ხარისხისა. უმაღლესი ხარისხის ჩაის — „საქართველოს თაიგულისა" და „ექსტრას" დასამზადებლად პირველი ხარისხის ფოთლის ანგარიშში უნდა ჩაბარდეს 9,5 ტონა ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფის პირველმა დღეებმა დაგვანახვა, რომ მოწინავე მკრეფავებს შეგნებული აქვთ წელს მათ წინაშე დასახული გაზრდილი მოთხოვნები. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ამხ. კ. გოგია) ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფას 21 მაისს შეუდგნენ. მეურნეობის აგრონომებმა კრეფის დაწყების წინ მკრეფავებთან ჩაატარეს კონსულტაცია კრეფის წესების შესახებ. ჩაის ფოთლის კრეფა ნორმალურად მიდის. კრეფენ მხოლოდ პირველი ხარისხის ფოთოლს.

მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ამხ. ნ. ზუმბულიძე) 23 მაისს დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. პირველ დღეს კრეფაზე მუშაობდნენ მეორე და მეოთხე ავრორაიონები. ჩაის კრეფის სტახანოველმა ქალებმა ამხ. ჩუმაკმა, გოლოვატიუკმა, ნეკრასოვამ და სხვებმა პირველ დღეს კრეფის დღიური ნორმა თითოეულმა 200 პროცენტით შეასრულა. აგროწესების ზუსტად დაცვით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ამხ. ა. გოგოლაძე).

მაგრამ ზოგან კრეფის წესებს უხეშად არღვევენ. მაგალითად, ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მკრეფავები არ იცნობდნენ კრეფის ინსტრუქციას. ამის შედეგად მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. ნ. მახარაძე) პირველ დღეს მოკრიფა 20 კილოგრამი უხარისხო ჩაის ფოთოლი. ბრიგადის წევრი ნ. ანანიძე ჰკრეფდა გაუხეშებულ ფოთოლს ყუნწდუყებიანად, ხოლო ს. ჟიჟავაძე — ყრუ დუყს ოთხ ფოთოლზე. საჭიროა კოლმეურნეობის აგრონომმა ს. შამილიშვილმა კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად სასწრაფო ზომები მიიღოს კრეფის წესების დამახინჯების აღსაკვეთად.

ბათუმის რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილებამ (გამგე ამხ. მ. ფანცხავა) დააგვიანა ჩაის კრეფის ახალი ინსტრუქციის გაცნობა სპეციალისტებისათვის. კრეფის დაწყების ორი დღის შემდეგ გაატარა მან ეს ღონისძიება. ამის შედეგია, რომ თვით აგროსპეციალისტები პირველ დღეებში სუსტად ერკვეოდნენ კრეფის წესებში, რომ სოფელ მახოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში პირველსავე დღეს დაარღვიეს კრეფის წესები.

ვ. ანთაძე

ჟურნალი „პიონერი"

გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი „პიონერი" № 1, 2 და 3. ჟურნალის პირველ ნომერში წარმოდგენილია შემდეგი მასალები: ალიო მაშაშვილი — „გამარჯვების მთავარსარდალი" (ლექსი), გიორგი ლეონიძე —„პიონერებს" (ლექსი), ი. გრიშაშვილი — „ჩემს პატარა მკითხველებს" (ლექსი), ირაკლი აბაშიძე — „ვლადიკავკაზში" (ლექსი), გ. ნატროშვილი — „ვარშავკაზე გადასვლა" (მოთხრობა), გ. ქუჩიშვილი — „ჩემი სალამი" (ლექსი), ქ. ქუჩუკაშვილი — „კვლავ თქვენთანა ვარ" (ლექსი), მ. რუხაძე — „ომის ქარცეცხლი გერმანიის მიწა-წყალზე ზობოქრობს" (წერილი), რ. ქორქია—„გმირი" (ნარკვევი), ლ. ასათიანი — „აკაკი წერეთელი" (წერილი), გ. კაჭახიძე — „მზიან სურვილი" (ლექსი), კ. კალაძე — „საიდუმლო ბარათი" (პოემა), რ. მარგიანი — „მე რომ პატარა ვიყავი" (ლექსი), ნ. ნაკაშიძე — „თბილისი" (ლეგენდა), აკადემიკოსი ნ. კეცხოველი — „გაქცეული მიწა" (ნარკვევი), დოც. გ. ლომთათიძე — „ქართული კულტურის ძველი კერა" (წერილი), შ. გვინჩიძე — „მითოლოგიის ლექსიკონი", ლ. ნ. ტოლსტოი — „იგავ-არაკები" (თარგმანი შ. გვინჩიძისა).

ჟურნალში აგრეთვე წარმოდგენილია მრავალი გასართობი, გამოცანები და განყოფილება „ვინ გაიმარჯვებს".

ჟურნალის მე-2 და მე-3 ნომერში მოთავსებულია მასალები:

მ. მრევლიშვილი — „მებრძოლთა დედა" (ლექსი), ვ. მაიაკოვსკი — „ვლადიმერ ილიჩ ლენინი" (ნაწყვეტი პოემიდან), კ. პაუსტოვსკი — „ლეგენდა ფაირედინზე" (ნაწყვეტი „ყარაბუღაზიდან", თარგმანი შ. გვინჩიძისა), ანდორ გაბორი—„გაუმარჯოს კომუნას" (ნოველა), მ. ლებანიძე — „თქვენი მერხიდან წასული" (ლექსი), გ. ქუჩიშვილი — „პიონერთა შეკრებაზე" (ლექსი), ვ. წულუკიძე—„სასიქადულო მწერალი" (წერილი), ი. აბაშიძე — „შოშია" (ლექსი), კ. კალაძე — „საიდუმლო ბარათი" (დასასრული), ა. შენგელია — „ყვავილების სურვილი" (ლექსი), ე. აგლაძე— „თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე" (წერილი), ა. ხახუტაშვილი — „ღამის ზღაპარი", ო. ჭელიძე — „პიონერის წერილი" (ლექსი), ნ. ნაკაშიძე — „თბილისი" (დასასრული), ნიკ. კანდელაკი — „ერეკლე II" (წერილი), აკადემიკოსი ნ. კეცხოველი — „როგორ დაიმარცხა ბალახმა მუხა" (ნარკვევი), შ. თაბუკაშვილი — „გადაშენებული ცხოველები", ქ. ჯაერიშვილი — „ცხოველმა გაიარა აქ 150 მილიონი წლის წინათ", შ. გვინჩიძე — „მითოლოგიის ლექსიკონი", გ. ზარდალიშვილი — „გეოგრაფიული სახელწოდებანი".

ჟურნალში წარმოდგენილია გასართობები, გამოცანები და მეორე სერია განყოფილებისა „ვინ გაიმარჯვებს".

ჟურნალის ყველა ნომერი გაფორმებულია მხატვრების ს. კეცხოველის, ს. მაისაშვილის, ვ. ბელეცკაიას, ვ. პეტროვას, მ. დაუშვილის და სხვათა მიერ.

ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორია თ. გელაშვილი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი დადგმა

1 ივნისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი აჩვენებს თავის ახალ დადგმას — 3-მოქმედებიან ბალეტ „ამაო სიფრთხილეს" — მუსიკა ჰერტელისა.

სპექტაკლი დადგა ე. ვ. დმიტრამ, მხატვარი ს. ბ. ვირსალაძე, დირიჟორი ვ. ლ. ფალიაშვილი. როლებს ასრულებენ: ქ. ნადარეიშვილი, ი. ა. ალექსიძე, ვ. კ. ლიტვინენკო, ზ. მ. კიკალეიშვილი, გ. ვ. ბარხუდაროვი, ვ. ა. ივაშკინი, შ. გ. ღოღობერიძე და შ. ა. ბუგიანიშვილი.

ელეონორა რუზველტის სტატია

ნიუ-იორკი, 28 მაისი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს განსვენებულ პრეზიდენტ რუზველტის მეუღლის ელეონორა რუზველტის სტატია, რომელსაც სათაურად აქვს „მოკავშირეთა შიში". ამ სტატიაში ელეონორა რუზველტი ჰგმობს ღონისძიებებს, რომლებსაც ზოგიერთი წრე ამ უკანასკნელ ხანს მიმართავს, რათა გამოიწვიოს შიში საბჭოთა კავშირისადმი. იგი აცხადებს, რომ ასეთი ელემენტები განზრახ თუ განუზრახველად ეხმარებიან მტრებს — ფაშისტებს.

„მე ვფიქრობ, — ნათქვამია სტატიაში, — რომ შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც შეგნებულად მოქმედებენ ნაცისტებისა და ფაშისტების სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, მათ გარდა არის ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც განუზრახველად მოქმედებენ მომავალი საყოველთაო მშვიდობიანობის წინააღმდეგ. ამ ადამიანებს პირველ რიგში ამოქმედებთ შიში. მათ ეშინიათ, რომ მათი სახელმწიფო მოღვაწეები ვერ შესძლებენ შეასრულონ საქმის გაძღოლის ამოცანა უცხო სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეებთან თანაბარ საფუძველზე. მათ ეშინიათ, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ მომავალში გავუჯიბროთ მსოფლიოს ძლიერ ერებს, და ამიტომ სურთ, რომ სხვა ერები სუსტნი იყვნენ. მათ ეშინიათ რუსეთისა და ამიტომ ფიქრობენ, რომ გერმანია მეტისმეტად არ უნდა იქნას დასუსტებული. მათ ეშინიათ დიდი ბრიტანეთისა და ფიქრობენ, რომ ჩვენ ყოველი შესაძლო გზით უნდა შევზღუდოთ მისი აყვავება. შიში მთავარი სიტყვაა მათ ლექსიკონში. ეს ადამიანები ავრცელებენ ყოველგვარ დამამცირებელ ხმებს სხვა ხალხთა შესახებ, ან სხვა მთავრობათა შესახებ, სანამ ნამდვილად გამოიკვლევდნენ, მართალია თუ არა ეს ხმები, და თუ ასეა, არსებობს თუ არა ამ ფაქტის ამხსნელი მიზეზი...

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ერთადერთი რწმენა მშვიდობიანობის დამყარების შესაძლებლობისა მდგომარეობს ჩვენი თავისადმი რწმენის ჩვენს საკუთარ გრძნობაში. ჩვენ შეგვიძლია განვსხვავდებოდეთ ჩვენი მოკავშირეებისაგან. ჩვენ განვსხვავდებოდით მათგან წარსულში. თუ მტკიცედ დავიცავთ ჩვენ მიერ ოდესმე მიცემულ სიტყვას, ეს მაინც აიძულებს სხვებს დაიჯერონ ჩვენი ძალა, იმიტომ რომ ამ ძალას იყენებენ კეთილი ნების ადამიანები, რომელთა გულშიც სუფევს შიშის გამფანტველი სიყვარული".

მარშალ სტალინის სახელობის ქუჩა ლოძში

ვარშავა, 29 მაისი. (საკდესი). ლოძის ქალაქის რადა ნაროდოვამ დაადგინა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ქალაქის განთავისუფლებისათვის წითელი არმიისადმი მადლობის ნიშნად მთავარ ქუჩას დაერქვას მარშალ სტალინის ქუჩა, ხოლო როკიშჩინსკის ქუჩას —წითელი არმიის ქუჩა.

ჰიტლერელ პროპაგანდისტ ჯოისის დაპატიმრება

ლონდონი, 29 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მე-2 არმიის ჯარებმა დააპატიმრეს ჰიტლერელი პროპაგანდისტი უილიამ ჯოისი, რომელიც გერმანიის რადიოთი გამოდიოდა ინგლისისათვის და რომელსაც შერქმეული ჰქონდა სახელი „ლორდი ჰაუ-ჰაუ". ჯოისთან ერთად დააპატიმრეს მისი ცოლი.

ჯოისი იყო ნატურალიზებული ინგლისელი ქვეშევრდომი; იგი ინგლისში ჩამოვიდა ამერიკიდან ომამდე რამდენიმე წლით ადრე. ჯოისი აქტიურად უჭერდა მხარს ინგლისელი ფაშისტების კავშირს, რომელსაც სათავეში ედგა ოსვალდ მოსლი. ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჯოისი გერმანიაში გაემგზავრა.

კნუტ ჰამსუნის დაპატიმრება

ლონდონი, 29 მაისი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ ოსლოს ახლოს დააპატიმრეს ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი. გერმანელთა მიერ ნორვეგიის ოკუპაციის დროს იგი გერმანელებთან თანამშრომლობდა.

ფრანკო თავშესაფარს აძლევს ბელგიელი ფაშისტების მეთაურს

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). პარიზის რადიო იუწყება, რომ ფრანკოს მთავრობამ უარი სთქვა ბელგიელი რექსისტების (ფაშისტების) ხელმძღვანელ ლეონ დეგრელის გაცემაზე. დეგრელის გაცემის შესახებ ბელგიის მთავრობის თხოვნის პასუხად ფრანკოს მთავრობამ განაცხადა, რომ დეგრელს „უფლება აქვს ისარგებლოს მისთვის გაწეული სტუმართმოყვარეობით".

აღმოჩენილია ყალბი ფულისა და დოკუმენტების ჰიტლერული ფაბრიკა

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის რადიო იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებმა ზაკენჰაუზენის ბანაკში, მაინის ფრანკფურტის ახლოს, აღმოაჩინეს ყალბი ფულის, დოკუმენტების, ბეჭდებისა და სხვ. დამამზადებელი უდიდესი ფაბრიკა, რომელიც თავის დროზე ჰიტლერელებს მოუწყვიათ. ფაბრიკაში 140 კაცი მუშაობდა. მეტწილად ფრანგი, ბელგიელი, ჰოლანდიელი, ნორვეგიელი და დანიელი მბეჭდავი მუშები, რომლებიც ძალით გაუწვევიათ და ბანაკში მოუთავსებიათ. იქ მოწყობილი იყო ყალბი ინგლისური გირვანქა სტერლინგებისა და ამერიკული დოლარების ბეჭდვა. ჰიტლერელების გეგმას შეადგენდა ყალბი ქაღალდის ფულით ავევსოთ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები და ამით ძირი გამოეთხარათ მათი ეკონომიკისათვის.

მდგომარეობა დანიაში

კოპენჰაგენი, 28 მაისი. (საკდესი). დანიაში ჰვლავ გარდამავალი პერიოდის დაძაბული ცხოვრებაა. ჯერ კიდევ ყველა გერმანელს არ დაუტოვებია დანია და ბევრი კვისლინგელი თავისუფლად დადის.

მოკავშირეთა სარდლობის გადაწყვეტილებით, დანიაში მყოფი გერმანელები თვითონ უნდა მივიდნენ გერმანიის საზღვარზე, ჩააბარონ იქ თავიანთი იარაღი და წავიდნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში. დღემდე საზღვარზე გადავიდა 100 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 32 ათასი გზაში იმყოფება ან და ჯერ კიდევ თავიანთ ყაზარმებში არიან. გარდა ამისა, დანიაში რჩება 100 ათასზე მეტი დაჭრილი გერმანელი და 300 ათასამდე გერმანელი ლტოლვილი.

აქტუალური და მწვავეა დანიელ კვისლინგელთა ბედის საკითხი. იმ პირთა უმეტესი ნაწილი, რომლებიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ, ჯერ კიდევ თავისუფლად დადის. დანიაში კვისლინგელებს მრავალი ადვოკატი აღმოუჩნდათ. დაიწყო იმით, რომ ზოგიერთი გავლენიანი წრე შეეცადა დაპატიმრების განხორციელებისათვის ჩამოეშორებინა პატრიოტები იმ საბაბით, რომ ამ „სათუთხილო" საქმის შესრულება მხოლოდ დავემილ პოლიციელებს შეუძლიათო. ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა აგრეთვე პატრიოტთა ცდა— დაეპატიმრებინათ ეკონომიურ დარგში გერმანელებთან მოთანამშრომლე ჯგუფის ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ავიაციის მასირებული თავდასხმა იოკოჰამაზე

ვაშინგტონი, 29 მაისი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 29 მაისს ძლიერ დიდი შენაერთი ამერიკის „მფრინავი ციხის" მარკის ზემძლავრი ბომბდამშენებისა, რომლებსაც ბაზები მარიანის კუნძულებზე აქვთ, თავს დაესხა იაპონიის სანავსადგურო ქალაქ იოკოჰამას.

სხვა შენაერთებმა დაბომბეს საკისიმას კუნძულები და იაპონიის სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზა კასუმიგაური, რომელიც 30 მილზე მდებარეობს ტოკიოს ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ტოკიო, 29 მაისი. (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, 29 მაისს ამერიკის „B-29" მარკის 500-მდე ზემძლავრი ბომბდამშენი 100-მდე ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა იოკოჰამასა და კავასაკის. თავდასხმა საათნახევარს გაგრძელდა. ძირითადად ჩამოყრილ იქნა ცეცხლგამჩენი ბომბები.

უცხოეთის ქრონიკა

იუგოსლავიის ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმსრულებელ ჩებრანგის ბრძანებით აიკრძალა იუგოსლავიის ახალი ვალუტის იუგოსლავიიდან გატანა და საზღვარგარეთიდან იუგოსლავიაში შეტანა.

• • •

ჰამბურგში დააპატიმრეს გერმანიის დიდი ფირმის „ბლომისა და ფოსის" დირექტორი რუდოლფ ბლომი. მას ბრალდება მტრული მოქმედება მოკავშირეების მიმართ.

• • •

ვარშავის აღდგენის დამხმარე ლოძის კომიტეტმა 27 მაისიდან 2 ივნისამდე გამოაცხადა „ვარშავის დახმარების კვირეული", რომლის დროსაც ქალაქში შეაგროვებენ სახსრებს პოლონეთის დედაქალაქის მშენებლობისათვის.

ფრანგ მწერალ ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალების 60 წლისთავთან დაკავშირებით პარიზში გაიმართა დიდი ფრანგი რომანისტის ნაწარმოებთა შემსწავლელი საზოგადოების წევრთა კრება. ჰიუგოს საფლავი გვირგვინით შეამკეს.

• • •

ბელგრადის უნივერსიტეტის აღმდგენმა კომისიამ ოკუპანტებთან აქტიური თანამშრომლობისათვის უნივერსიტეტიდან გარიცხა პროფესორები ნიკოლა პოპოვიჩი, იუსტინე პოპოვიჩი და სხვ., ამასთან მათი საქმე გადაეცა სერბიის ნაციონალური ღირსების სასამართლოს. (საკდესი).

29 მაისი.

თბილისი. კიროვის სახელობის ქარხანა. სურათზე: ქარხნის მუშაკები დ. ჯანჯღელაშვილი, ნ. გორდაძე და ბ. ბენდერი (საკავშირო კ. პ. (ბ) წევრები) მეცადინეობენ ქარხნის წითელ კუთხეში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქართველოს ფილარმონია საზაფხულო სეზონის გახსნის წინ

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია საზაფხულო სეზონს ხსნის 1-ლ ივნისს. ზაფხულის თვეებისათვის დასახულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სიმფონიური კონცერტების მოწყობას. ამ კონცერტების დანიშნულებაა რუსული და ევროპული კლასიკური მუსიკის ნიმუშების ჩვენება, აგრეთვე საქართველოს და მოძმე რესპუბლიკათა კომპოზიტორების შემოქმედების გაცნობა ფართო მასებისათვის.

სიმფონიური კონცერტების რიცხვი გადიდდება. თვეში ოთხი კონცერტის ნაცვლად, როგორც ეს ზამთარში იყო, გაიმართება ოცამდე კონცერტი. ამ მიზნით გამოყენებული იქნება, ფილარმონიის საზაფხულო თეატრის გარდა, ძერჟინსკის სახელობის ბაღი (ყოფილი „სტელა") და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი.

ამასთან ერთად განზრახულია სიმფონიური სეზონის მოწყობა სოხუმსა და ბათუმში მცირე სიმფონიური ორკესტრის ძალებით (35-40 კაცი).

საქართველოს ფილარმონიასთან ახლად ჩამოყალიბებული სიმებიანი კვარტეტი ბ. ჭიაურელის, გ. ხატიაშვილის, ა. ბეგალიშვილის და ს. ცინცაძის შემადგენლობით ივნისის დამდეგს გვიჩვენებს თავის პირველ ნამუშევარს. კონცერტის პროგრამაში შეტანილია გლიერ-ზეფელდის, შუმანის და ჩაიკოვსკის ნაწარმოებნი.

კვარტეტის შემდგომი მხატვრული ზრდისათვის განზრახულია მისი მოსკოვს მივლინება, სადაც ის იმეცადინებს პროფესორ გუზიკოვთან.

კამერული კონცერტებისათვის მზადდება პროგრამები. ფილარმონიასთან არსებული კამერული მუსიკის განყოფილებას განაგებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი შ. თაქთაქიშვილი. კამერულ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ნიჭიერი ინსტრუმენტალისტები გ. მაჭუტაძე, ლ. შიუკაშვილი, გ. ბარნაბიშვილი, ი. ბერიძე, ლ. მიქაბერიძე, გ. ქავთარაძე, ნ. გაჩეჩილაძე და სხვები.

გარდა ამისა, გაიმართება ცალკე ვოკალისტების კონცერტები. ასე, მაგალითად, 17 ივნისს საკუთარი კონცერტით გამოვა სახალხო არტისტი ე. სოხაძე.

7 ივნისს საზაფხულო თეატრში მოეწყობა ახალგაზრდა მომღერლის, ბოშური რომანსებისა და საესტრადო სიმღერების შემსრულებლის მერი სუპატაშვილის პირველი კონცერტი. საქართველოს ფილარმონიის მოწვევით მასთან მეცადინეობს კომპოზიტორი პიანისტი შ. პეტრენკო, ავტორი მრავალი პოპულარული საბჭოთა სიმღერისა.

როგორც ცნობილია, საქართველოს ფილარმონიასთან არსებობს ჯაზ-ორკესტრი. ამჟამად იგი გარდაქმნილია, გადახალისებულია მისი ხელმძღვანელობა. ქართული ჯაზის მხატვრული ხელმძღვანელია ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ქეთო ჯაფარიძე, მუსიკალური ხელმძღვანელი — სერგო ბაბოვი. სოლისტებად გამოდიან ქეთო ჯაფარიძე, ახალგაზრდა მომღერალი გ. ნასიძე (ბარიტონი) და ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი რ. კაკობაშვილი. მოცეკვავეთა ჯგუფში შედიან შ. ფიცხელაური, დები თ. და ა. აკიმოვები, ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ნ. გუნია და სხვები.

ჯაზის პირველი გამოსვლა მოხდება ივნისის დამლევს. პირველ პროგრამაში შეტანილია კომპოზიტორების ა. ყარაშვილის, რ. გაბიჩვაძის, ნ. გუდიაშვილის, გ. თორაძის, გ. ჩუბინაშვილის და სხვათა ნაწარმოებნი. პროგრამას სცენიურად ახორციელებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. თაყაიშვილი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის კ. სანაძეს.

ფილარმონიასთან არსებული ესტრადის ქართული თეატრი ამჟამად მუშაობს ახალი პროგრამის მომზადებაზე. თეატრი პოპულარობით სარგებლობს მაყურებელთა შორის. ზაფხულის განმავლობაში ის იმუშავებს ფილარმონიის ბაღში და მოემსახურება აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებს.

4, 5 და 6 ივნისს საზაფხულო თეატრში მოეწყობა ცნობილი კინო მსახიობის, კინოსურათების „მუსიკალური ისტორიისა" და „მებრძოლი დობილების" კინოგმირის, სტალინური პრემიის ლაურეატის რსფსრ დამსახურებული არტისტის ზოია ფიოდოროვას გამოსვლები.

8 ივნისისათვის განზრახულია სპენდიაროვის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტის თათევიკ საზანდარიანის კონცერტი. პირველი კონცერტის პროგრამაში დასახულია რუსი და სომეხი კომპოზიტორების — ბალაკირევის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, კომიტასის, სპენდიაროვის, რომანოს მელიქიანის, ერო სტეფანიანის, გრ. ეღიაზარიანის, კარო ზაქარიანის ნაწარმოებნი.

11 ივნისს თ. საზანდარიანი მონაწილეობას მიიღებს სიმფონიურ კონცერტში დირიჟორ კ. ივანოვის ხელმძღვანელობით. პროგრამაშია არიები ოპერებიდან.

9 ივნისიდან საზაფხულო თეატრში იწყება ლენინგრადის სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები. რეპერტუარშია 15-მდე ოპერეტა. მათ შორის „სილვა", „მარიცა", „როზ-მარი" და სხვები, აგრეთვე საბავშვო სპექტაკლები.

გარდა ამისა, ივნისში ფილარმონიის ბაღის ღია ესტრადაზე იმუშავებს როსტოვის ფილარმონიის მსახიობთა ბრიგადა კ. მიხაილოვის მეთაურობით. 15 ივნისიდან იწყება აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტები. ეს ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გილმან სალახოვი, მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადაზე და დიდი წარმატება ჰქონდა. ანსამბლი საქართველოში 10 კონცერტს გამართავს.

საქართველოს ფილარმონიის მხატვრულ ღონისძიებათა გეგმა ითვალისწინებს არა მარტო კონცერტებისა და საგასტროლო გამოსვლების მოწყობას, არამედ ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოების გამართვასაც. განზრახულია საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოს მოწყობა პოეტებისა და მწერლების მონაწილეობით. სპეციალური ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო მიეძღვნება ა. ბლოკის, და ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებას.

სეზონის გახსნისათვის ფილარმონიის ბაღის ტერიტორიაზე ჩატარებულია გამწვანება და გაშენებულია წალკოტი. მთავრდება საზაფხულო თეატრისა და პავილიონის რემონტი.

ბაღში ყოველდღე დაუკრავს ნახიმოვის სახელობის თბილისის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის სასულე ორკესტრი.

შ. ბუაჩიძე

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

ი. გრიშაშვილის ლექსის ჩინური თარგმანი

ჩინეთში გამომავალმა ლიტერატურულ-მხატვრულმა ჟურნალმა „ეპოქამ" მიმდინარე წელს მოათავსა იოსებ გრიშაშვილის ლექსის —„პუშკინის ქალაქში" ჩინური თარგმანი.

პოეტ გრიშაშვილს ამის შესახებ აცნობა საკავშირო მწერლების კავშირის უცხოეთის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. აპლეტინმა.

ახალი კინოთეატრი

გურჯაანი („კომუნისტის" საკ. კორ.). ამ დღეებში საზეიმოდ გაიხსნა კინოთეატრი „ოქტომბერი". კინოთეატრი აშენდა სამამულო ომის დღეებში. დარბაზი 400 მაყურებელს იტევს.

გარდა ჩვეულებრივი სეანსებისა, კინოთეატრში სისტემატურად მოეწყობა დღის სეანსები მოსწავლეთათვის.

მ. ციხისთავი

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ლექციები

30 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

31 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება ლექცია თემაზე:

„სოციალისტური სამშობლოს დაცვა".

ლექციას ჩაატარებენ ამხ. **მირიანაშვილი** (ქართულ ენაზე) და ამხ. **ნოლიანიხი** (რუსულ ენაზე).

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 30/V — „აიდა", 31/V — „ევგენი ონეგინი". **რუსთაველის სახელობის** — 30, 31/V — „ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის**—30/V — „ფიქრის გორა", 31/V—„მარგარიტა გოტიე". **გრიბოედოვის სახელობის** — 30, 31/V — „ტყე". **მუსიკალური კომედიის** — 30/V — „მზის დაბნელება", 31/V—„არშინ-მალ-ალან".

კინოებში

30 მაისს: **რუსთაველის სახელობის** და **ოქტომბერი** — „კაცი № 217". **დამკვრელი** — (საზაფხულო და ზამთრის) — „ედისონი". **კომკავშირელი** — (საზაფხულო და ზამთრის) — „ბაღდადელი ქურდი". **სპარტაკი** — „ვისლიდან ოდერამდე" და „ბერლინში გამარჯვების დროშა აფრიალდა".

კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა იძენს ქართულ წიგნებს, ძველ ხელნაწერებს, განსაკუთრებით ძველ გამოცემებს. წიგნების შეძენა სწარმოებს ყოველდღე დღის 4 საათიდან 5 საათამდე. მისამართი: თბილისი, კეცხოველის ქ., № 5.

მოქალაქე **გრიგოლ სარქისის-ძე კამალოვმა**, მცხოვრებმა ვოლოდარსკის ქ. № 5, აღძრა საქმე არაგველთა აღმართზე № 6 სახლში მცხოვრებ მოქალაქე **ევლაკია დიმიტრის-ასულ კამალოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

მეუღლე ანა, შვილები მარო, შალვა, ლენა, სიძე დიმიტრი გურული, და ელისო ოსაძე იუწყებიან **სანდრო სამნიაშვილის** გარდაცვალებას.

მიხეილ აბესალომის-ძე, ოლღა გიორგის-ასული, შოთა მიხეილის-ძე და მერი მიხეილის-ასული მასხარაშვილები იუწყებიან **ელენე შალვას-ასულ კაკრიაშვილის** გარდაცვალებას.

მიხა, ანა, გიორგი, ანასტასია, მარო, პავლე, ნინო პატარაიები, თომა, შურა შენგელაიები, ვლადიმერ, ნადია ბარათელიები, კოლია, ვალია ასატუროვები, ჯათიკო, თამარ კიკნაველიძეები შვილებით იუწყებიან **მარიამ პატარაიას** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, შვილები თედო, მურთა, დაშა, სარა, აგრაფინა, რძალი ბაბულა, შვილიშვილები კოტე, მიულენ ლობჟანიძეები იუწყებიან **დომენა ლობჟანიძის** გარდაცვალებას.

შვილები ნიკოლოზ, კაზიმირ, სერგო, ლეონიდ, გიორგი, გრიშა, შურა ცოლ-შვილით, თამარ, ნინო ქმარ-შვილით იუწყებიან **მართა მეჯრელიშვილის** გარდაცვალებას.

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ნინო ტატიშვილს მამის **ნესტორ ასლანის-ძე ტატიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ელისა, შვილები ვალოდია, გრიშა, ვერა, რძლები იულია, თამარ შვილებით იუწყებიან **არტემ თედორეს-ძე თაფლაძის** გარდაცვალებას.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან გ. ჩანტლაძის მამის **იაგორ ჩანტლაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3.63.03, პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3 08.88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3.81.84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3 80.83, სამხედრო, ლიტერატურისა—3.80.84, მორიგეს და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის —3.51.81, სტამბის დირექტორის—3 77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 00331